

განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა/Mathematics
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის მაგისტრი/Master of Mathematics
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ვლადიმერ ბალაძე, პროფესორი, ელ. ფოსტა: vbaladze@gmail.com დალი მახარაძე, პროფესორი, ელ. ფოსტა: dali.makharadze@bsu.edu.ge ომარ გივრადე, ასოცირებული პროფესორი, ელ. ფოსტა: omar.givradze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	120 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ მოამზადოს მათემატიკის მაგისტრები, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა მათემატიკის ფუნდამენტურ მიმართულებებში, შეეძლებათ მათემატიკის სხვადასხვა სფეროს უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით, ორიგინალური იდეების შემუშავება და მათი კვლევაში გამოყენება; უზრუნველყოს მაგისტრანტების დარგობრივი და სამეცნიერო ინტერესების დაკმაყოფილება მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებში კონცენტრაციის შეთავაზებით; ✓ კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს სხვადასხვა დარგობრივ სფეროში წარმოქმნილი, რთული პრობლემის ინოვაციური, მათემატიკური მეთოდებით გადაჭრის უნარები; ✓ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბოს, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით, აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოებისთვის თავისი დასკვნების, არგუმენტაციების, კვლევის მეთოდებისა და შედეგების გაცნობის უნარ-ჩვევები.
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> ✓ აყალიბებს და ამტკიცებს მათემატიკურ დებულებებს, შეუძლია მიღებული შედეგების კრიტიკული ანალიზი, აცნობიერებს დიდი მოცულობის მონაცემთა სისტემების გამოყენების მნიშვნელობას სხვადასხვა სფეროში; ✓ აანალიზებს მათემატიკურ ამოცანებსა და დაშვებებს, აწვითარებს ლოგიკურ მათემატიკურ მსჯელობას, იყენებს სათანადო კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიებს; ✓ იკვლევს და აანალიზებს თეორიულ ამოცანებს, აყალიბებს ამოხსნის მეთოდს მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების გამოყენებით.

	<ul style="list-style-type: none"> ✓ გეომეტრია – ტოპოლოგიის კურსდამთავრებულს შეუძლია გეომეტრიაში, ტოპოლოგიაში, ჰომოტოპიასა და ჰომოლოგიის თეორიაში ფუნდამენტური საკითხების ლოგიკური გაანალიზება და მათი დაკავშირება სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილ პრობლემებთან; ✓ ახდენს მათემატიკასა და სხვა დარგებში დასმული ამოცანების მოდიფიცირებას და გადაჭრის მათ სათანადო გეომეტრიული/ჰომოლოგიური ან ჰომოტოპიური მოდელით; ✓ მათემატიკური ანალიზი, ალბათობის თეორიის კურსდამთავრებული ლოგიკურად ანალიზებს მრავალი ცვლადის დიფერენციალური აღრიცხვის რჩეული საკითხების, ზომის თეორიის, კომპლექსური ანალიზის, ფურიეს ანალიზის, შემთხვევით პროცესთა თეორიის ფუნდამენტურ საკითხებს და აკავშირებს სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილ პრობლემებთან; ✓ ახდენს თანამედროვე ანალიზის სხვადასხვა ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის გააზრებას, უახლესი მეთოდების გამოყენებით პრობლემისადმი ორიგინალური მიდგომის მოფიქრებას და პრობლემის გადაჭრის ახალი გზის მოძებნას; ✓ მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორიის კურსდამთავრებული ანალიზებს მათემატიკური ლოგიკის, ალგებრისა და რიცხვთა თეორიის ფუნდამენტურ საკითხებს და აკავშირებს მათ სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილ პრობლემებთან; ✓ ახდენს მათემატიკასა და სხვა დარგებში დასმული ამოცანების მოდიფიცირებას, მათ გადასაჭრელად სათანადო ალგებრული მოდელის მისადაგებას და გადაჭრას; ✓ ახდენს სხვადასხვა მათემატიკური პრობლემის დასმის, მასთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევის, დიდ მონაცემთა სისტემების შესაძლებლობების იდენტიფიცირების, დასმული ამოცანების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით გადაწყვეტის უნარების დემონსტრირებას; ✓ შეუძლია მიღებული შედეგების შესახებ სამეცნიერო შრომის მომზადება და წარდგენა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან ქართულ და უცხოურ ენაზე; ✓ სხვადასხვა დარგის პრობლემური საკითხებისთვის აგებს მათემატიკურ მოდელებს და უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით გადაჭრის მათ, აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გამოყენების უნარი; ✓ აცნობიერებს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს და იცავს მათ; ✓ მათემატიკის თანამედროვე მიმართულებებიდან განსაზღვრავს აქტუალურ დარგს, დამოუკიდებლად წარმართავს პროფესიულ საქმიანობასა და თვითგანვითარების პროცესს.
--	--